



შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის

დირექტორის ბრძანება



№ 00002403



21/05/2021

შრომის უსაფრთხოების დებულების დამტკიცების შესახებ

შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის ტატო კურდღელაშვილის 2021 წლის 21 მაისის N2397 მოხსენებითი ბარათის და შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის წესდების საფუძველზე,

ვბრძანებ

1. დამტკიცდეს შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის შრომის უსაფრთხოების დებულება თანდართული დანართის შესაბამისად.
2. ეს ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

კერძო კოლეჯების ასოციაცია
შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგი
დირექტორი
სუხიშვილი რუსუდან

შპს „საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგი“

უსაფრთხოების დებულება

	სარჩევი	გვერდი
თავი 1.	ზოგადი დებულება	2
თავი 2.	მიზანი	2
თავი 3.	გავრცელების სფერო	2
თავი 4.	შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა	3
თავი 5.	შრომის უსაფრთხოების დაცვა	3
თავი 6.	პოლიტიკის მიღწევის მეთოდები და მიზნები	3
თავი 7.	წესრიგის დაცვა	4
თავი 8.	პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენა	5
თავი 9.	ჰიგიენის დაცვის მექანიზმი	6
თავი 10.	უსაფრთხოების დაცვა	7
თავი 11.	შრომის უსაფრთხოების დაცვის ორგანიზება	8
თავი 12.	პერსონალური მონაცემების დაცვა	
თავი 13.	დასკვნითი დებულებები	8
თავი 14.	მოქმედების ვადა	8

მუხლი 1. ზოგადი დებულება

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგი" საქმიანობის განხორციელებისას, პრიორიტეტად დასახული აქვს შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის საკითხები. კოლეჯის ხელმძღვანელობა აცნობიერებს შრომის უსაფრთხოების კუთხით კომპანიის პასუხისმგებლობას და სათანადოდ უზურუნველყოფს დასაქმებულთა შრომისა და ჯანმრთელობის დაცვას.

კოლეჯი აფასებს საკუთარ შრომით რესურსს, რისთვისაც მუდმივად ცდილობს შექმნას საქმიანი, უსაფრთხო, კომფორტული და ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო სამუშაო გარემო და სივრცე.

მუხლი 2. მიზანი

კოლეჯის მიზანია დასაქმებულის სამუშაო ადგილისა და მთლიანი სამუშაო სივრცის უარყოფითი ასპექტებისგან დაცვის სისტემის შექმნა, რისთვისაც მუდმივად ეცდება ორგანიზაციის რესურსი მიმართოს, საშიშროებისა და რისკების გამოვლენა-შეფასების მექანიზმების დანერგვის, პრევენციული ღონისძიებების გატარებასა და მათ საფუძველზე საწარმოო ტრავმატიზმისა და პროფესიული დაავადებების თავიდან აცილებისთვის.

კოლეჯის მიზანია საწარმოო პრაქტიკაში დანერგოს და დაიცვას შრომის უსაფრთხოების ნაციონალური და საერთაშორისო ნორმები და სტანდარტები.

კოლეჯის ხელმძღვანელობა ადასტურებს თავის ვალდებულებას დაიცვას, საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ და სხვა საკანონმდებლო აქტები, ასევე საერთაშორისოდ აღიარებული უსაფრთხოების სტანდარტები

მუხლი 3. გავრცელების სფერო

ეს პოლიტიკა ვრცელდება შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგი" -ის ყველა სტრუქტურულ ერთეულსა და თანამშრომელზე, მათ შორის კონტრაქტორებსა და ქვეკონტრაქტორებზეც.

მუხლი 4. შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგი" შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის ძირითადი პრინციპებია:

- დასაქმებულის ჯანმრთელობა და სიცოცხლე უპირატესია კომერციულ ინტერესებზე;
- ნებისმიერ ინდივიდს აქვს უფლება იმუშაოს უსაფრთხო სამუშაო პირობებში;
- დასაქმებულებთან და სხვადასხვა ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველზე შრომის უსაფრთხოებისა და მათი დაცვის საკითხების გადაჭრა.

მუხლი 5. შრომის უსაფრთხოების დაცვა

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგი შრომის უსაფრთხოების საკითხებს განიხილავს კომპლექსურად, რისთვისაც უზრუნველყოფს:

- უსაფრთხო სამუშაო პირობებს;
- დასაქმებულთა მუდმივ სწავლებას შრომის უსაფრთხოების საკითხებში;
- შენობა-ნაგებობების უსაფრთხოებას;
- საგანმანათლებლო პროცესების უსაფრთხოებას;
- სამუშაო და დასვენების რეჟიმის ოპტიმალურ გადანაწილებას;
- ელექტრო დანადგარებისა და მოწყობილობების პერიოდულ შემოწმებას, შეფასებას;
- პროფესიული დაავადებებისა და უბედური შემთხვევების ობიექტურ გამოძიებას;
- შრომის უსაფრთხოების დაცვის კომპლექსური ღონისძიებების დაგეგმვას, ტრავმატიზმისა და პროფესიული დაავადებების თავიდან აცილების მიზნით.
- თითოეულ თანამშრომელს სამუშაო და შრომის უსაფრთხოების ინსტრუქციით.

ინსტრუქცია უნდა მოიცავდეს:

- შრომის უსაფრთხოების საერთო მოთხოვნებს;
- უსაფრთხოების ნორმებს სამუშაოს დაწყების წინ;
- უსაფრთხოების ნორმებს სამუშაო პროცესში;
- უსაფრთხოების ნორმებს ავარიულ სიტუაციაში;
- უსაფრთხოების ნორმებს სამუშაოს დასრულებისას.

მუხლი 6. პოლიტიკის მიღწევის მეთოდები და მიზნები

პოლიტიკის ძირითად მიზნებს წარმოადგენს:

- უბედური შემთხვევებისა და ავარიების თავიდან აცილება;
- დასაქმებულის ჯანმრთელობისა და სიცოცხლისთვის ზიანის მიყენების რისკის შემცირება;

- სამუშაო ადგილებზე უსაფრთხო გარემო-პირობების შექმნა;
- დასაქმებულთა პროფესიული კვალიფიკაციის მუდმივი ამაღლება შრომის დაცვისა და უსაფრთხოების საკითხებში;
- საწარმოო უსაფრთხოების მუდმივი გაუმჯობესება;
- ინფორმაციის ოპერატიულად მართვის უზრუნველყოფა ადეკვატური გადაწყვეტილების მისაღებად, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში.

ზემოთაღნიშნული მიზნების მისაღწევად საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგი გეგმავს:

- განახორციელოს ყველა ხელმისაწვდომი და პრაქტიკულად მიზანშეწონილი ღონისძიება ავარიული სიტუაციებისა და ინციდენტების თავიდან აცილების მიზნით, რამაც შეიძლება ზიანი მიაყენოს დასაქმებულთა ჯანმრთელობას და, თუ ისინი მოხდება, მიიღოს ზომები მათი შედეგების შესამცირებლად დასაქმებულთა ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვისთვის;
- მოითხოვოს დასაქმებულებისა და კონტრაქტორებისგან შესაბამისი სტანდარტების, საწარმოო და უსაფრთხოების სხვა ნორმების დაცვა;
- დაიცვას უსაფრთხოების ზომების მოქმედი წესები და რეგულაციები;
- აწარმოოს მუდმივი მონიტორინგი და საჭიროების შემთხვევაში, გააუმჯობესოს სამუშაო პირობები;
- უზრუნველყოს პერსონალის აქტიური მონაწილეობა უსაფრთხოების ზომების დანერგვასა და დაცვის საკითხებში;
- შექმნას უსაფრთხო სამუშაო ადგილები;

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგი მიერ ყურადღება გამახვილებულია ავარიულ სიტუაციების და ავარიების თავიდან აცილებაზე. უბედური შემთხვევის ან/და ინციდენტის შემთხვევაში, იგი ეყრდნობა პერსონალის ქმედებებს, ზარალის მინიმუმამდე შემცირების, გამომწვევი მიზეზების იდენტიფიცირებისა და შედეგების აღმოფხვრის მიზნით.

მუხლი 7. წესრიგის დაცვა

1. კოლეჯში წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს დაცვის თანამშრომელი;
2. კოლეჯში მატერიალური ფასეულობების დაცვას უზრუნველყოფს დაცვის თანამშრომელი;
3. დამატებითი უსაფრთხოების მიზნით შენობა აყვანილია ცენტრალიზებული დაცვის სისტემაზე და ხანძარსაწინააღმდეგო სისტემაზე;
4. დამატებითი უსაფრთხოების მიზნით კოლეჯის გარე და შიდა პერიმეტრი კონტროლდება ვიდეოჩანაწერის შენახვის ფუნქციით აღჭურვილი უსაფრთხოების კამერებით;

მუხლი 8. პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენა

1. კოლეჯი უზრუნველყოფს მის ტერიტორიაზე მყოფი სტუდენტებისა და პრესონალისათვის პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენას;
2. კოლეჯის ტერიტორიაზე სტუდენტებისა და პრესონალისათვის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფაზე, პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენასა და ორგანიზებაზე პასუხისმგებელი პირია დირექტორი;
3. პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის შესაძლებლობის შესახებ ინფორმაცია სტუდენტს მიეწოდება გზამკვლევის მეშვეობით სწავლის დაწყებიდან არაუგვიანეს ერთი კვირისა;
4. პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის შესაძლებლობის შესახებ ინფორმაცია პრესონალს მიეწოდება სამუშაოს დაწყებისთანავე;
5. პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენას უზრუნველყოფს დირექტორის მიერ დანიშნული შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირი/პირები (შემდგომში - პირველადი გადაუდებელი დახმარების გამწევი პირი);
6. შენობაში არსებობს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კუთხე, სადაც ინახება პირველადი გადაუდებელი დახმარებისათვის საჭირო საშუალებები;
7. პირველადი გადაუდებელი დახმარების საშუალებების შენახვა/მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირია პირველადი გადაუდებელი დახმარების გამწევი პირი;
8. პირველადი გადაუდებელი დახმარების საშუალებების ხარჯვა აღირიცხება ჟურნალში, რომელსაც ავსებს და მართავს პირველადი გადაუდებელი დახმარების გამწევი პირი;
9. კოლეჯის ტერიტორიაზე სტუდენტის ან პრესონალისათვის სამედიცინო დახმარების საჭიროების შემთხვევაში პირველადი გადაუდებელი დახმარების გამწევი პირი საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში იღებს გადაწყვეტილებას, თუ რა ტიპის დახმარება უნდა გაეწიოს პირს;
10. პირველადი გადაუდებელი დახმარების გამწევი პირი უფლებამოსილია მიიღოს ქვემოთმოყვანილი გადაწყვეტილებებიდან ერთერთი ან რამოდენიმე ერთდროულად:
 - აღმოუჩინოს პირს პირველადი გადაუდებელი დახმარება;
 - გაათავისუფლოს სამეცადინეო/სამუშაო საათებიდან;
 - მიმართოს დახმარებისათვის საგანგებო სიტუაციების სამსახურს (112);
11. სამეცადინეო/სამუშაო საათიდან სტუდენტის ან პრესონალის გათავისუფლების შემთხვევაში პირველადი გადაუდებელი დახმარების გამწევი პირი ვალდებულია გააკეთოს ჩანაწერი შესაბამის ჟურნალში;
12. სამეცადინეო საათიდან არასრულწლოვანი სტუდენტის გათავისუფლების შემთხვევაში, პირველადი გადაუდებელი დახმარების გამწევი პირი ვალდებულია აცნობოს სტუდენტის ოჯახის წევრს ინფორმაცია გათავისუფლების შესახებ;
13. პირველადი გადაუდებელი დახმარების გამწევი პირი ვალდებულია აწარმოოს:
 - გახარჯული საშუალებების აღრიცხვის ჟურნალი;
 - სამეცადინეო/სამუშაო საათიდან გათავისუფლებული სტუდენტებისა და პრესონალის აღრიცხვის ჟურნალი;
14. პირველადი გადაუდებელი დახმარების გამწევი პირი ვალდებულია იმოქმედოს სამედიცინო ეთიკის ნორმების დაცვით;

15. კოლეჯს აქვს უფლება განახორციელოს ისეთი ქმედება უსაფრთხოების დასაცავად, რაც ამ წესით არ არის განსაზღვრული, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასა და დამდგარ ფაქტობრივ მდგომარეობას, რომლის გამოც საჭირო გახდება ასეთი წესების გამოყენება.

მუხლი 9. ჰიგიენის დაცვის მექანიზმი

1. ეს წესი განსაზღვრავს და არეგულირებს კოლეჯის ტერიტორიის, დერეფნების, სასწავლო აუდიტორიების ლაბორატორიების, სველი წერტილების/ტუალეტების დასუფთავებისა და დეზინფექციის ჩატარების პროცედურებსა და პერიოდულობას.
2. კოლეჯის ტერიტორიაზე დასუფთავების და დეზინფექციის ჩატარებას ახორციელებს დამლაგებელი;
3. ეპიდემიოლოგიურად კეთილსაიმედო პერიოდში კოლეჯში ყოველდღიურად უნდა მოხდეს საკლასო ოთახების და სხვა სასწავლო და დამხმარე ოთახების დალაგება მეცადინეობის დამთავრების შემდეგ. დაიხვეტოს იატაკი, გაიწმინდოს მტვრიანი ადგილები (ფანჯრისრაფები, რადიატორები, მერხებიდასხვა);
4. კვირაში სამჯერ უნდა მოხდეს კოლეჯის ტერიტორიის იატაკის სველი წესით მოეცხვა და დასუფთავება;
5. თუ კოლეჯში მეცადინეობა მიმდინარეობს 2 ცვლაში, ტერიტორია უნდა დალაგდეს მეორე ცვლის შემდეგ;
6. თვეში ერთხელ უნდა ჩატარდეს კოლეჯის გენერალური დასუფთავება არა მარტო სარეცხი საშუალებებით, არამედ სადეზინფექციო ხსნარების გამოყენებით. ამისათვის გამოიყენება ამ მიზნით ნებადართული სადეზინფექციო საშუალებები;
7. ტუალეტების დასუფთავება უნდა მოხდეს ყოველდღიურად, ეპიდსიტუაციის მიუხედავად. უნიტაზის დასაჯდომი, ჩასარეცხი ავზის სახელურები და კარების სახელურები უნდა გაირეცხოს წყლით და საპნით. ნიჟარები, უნიტაზები უნდა გაირეცხოს ჯაგრისით სარეცხი-სადეზინფექციო საშუალებების გამოყენებით მათ ეტიკეტზე მითითებული მოთხოვნების შესაბამისად;
8. ეპიდემიოლოგიურად არაკეთილსაიმედო პერიოდში ყოველდღიურ დეზინფექციას ექვემდებარება ყველა ოთახი, სადაც გამოვლინდა დაავადების შემთხვევა. სადეზინფექციო სამუშაოების ჩატარების ხანგრძლივობა კერაში დამოკიდებულია ეპიდსიტუაციაზე საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრების მითითებების შესაბამისად დაავადების კერის ლიკვიდაციამდე;
9. ეპიდემიოლოგიურად არაკეთილსაიმედო პერიოდში კერაში დეზინფექციის დროს ძირითადი ყურადღება უნდა მიექცეს იმ ნივთების დამუშავებას, რომლებიც გადამწვეტ როლს თამაშობენ ინფექციის გადაცემაში (ხშირად შეხებადი ზედაპირები, კარის სახელურები, კარებები, მაგიდის ზედაპირები). ჰაერ-წვეთოვანი ინფექციის დროს ხშირად უნდა განიავდეს კლასები (ყველა დასვენებაზე), ოთახები გაიწმინდოს მტვრისაგან, დასუფთავდეს სველი წესით;
10. ნაგვის ურნების დაცლა უნდა მოხდეს ყოველ დღე სამეცადინეო პროცესის დასრულების შემდეგ ან საჭიროებისამებრ. საოფისე ნარჩენები უნდა მოთავსდეს სპეციალურ კონტეინერებში და უნდა იქნას უტილიზებული ქალაქის მუნიციპალიეტის მიერ გამოყოფილ სპეციალურ ადგილზე;
11. კოლეჯის ტერიტორიაზე არ დაიშვება უმეთვალყურეო ცხოველების არსებობა;
12. საჭიროების შემთხვევაში სპეციალიზებული სამსახურის მეშვეობით, უნდა ჩატარდეს ნარჩენების კონტეინერების განთავსების ადგილის, ასევე კოლეჯის ტერიტორიის

პერიოდული დამუშავება მწერებისა და მღრღნელების გამრავლების საწინააღმდეგო საშუალებებით (დეზინსექცია, დერატიზაცია);

მუხლი 10. უსაფრთხოების დაცვა

1. კოლეჯში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საევაკუაციო გეგმა, ევაკუაციის პროცედურები, რომლის შესაბამისად საჭიროების შემთხვევაში მოხდება შენობის უსაფრთხო დატოვება.
2. კოლეჯი აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით, ცეცხლმაქრებით, რომელიც განთავსებულია შსს სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს მიერ დადგენილ ადგილებზე და მისი გამოყენების ინსტრუქცია გამოკრულია ინვენტართან და ახსნილია კოლეჯის პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის.
3. უსაფრთხოების სწავლება პერსონალისა და სტუდენტებისათვის ტარდება მინიმუმ წელიწადში ორჯერ;
4. უსაფრთხოების, მათ შორის სახანძრო უსაფრთხოების სწავლებას პერსონალისა და სტუდენტებისათვის ატარებს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი;
5. სახანძრო უსაფრთხოებაზე რეკომენდაციებს გასცემს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი;
6. სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირია დირექტორი;
7. საგანგებო ვითარების დროს საჭიროების შემთხვევაში, დაცვის თანამშრომელი უკავშირდება შესაბამის უწყებებს (სასწრაფო, სახანძრო, პატრული და ა.შ.);
8. ტექნიკური აღჭურვილობის უსაფრთხოების მდგომარეობის შემოწმებას, დაცვის საშუალებების მოვლას, მათ სწორად გამოყენებაზე კონტროლს ახორციელებს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი;
9. შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი უზრუნველყოფს სამუშაო სივრცეში უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებების შემთხვევების რეგისტრაციას, მოკვლევას და ანგარიშგებას;

10. ევაკუაციის პროცედურები და ინსტრუქცია

N	მოქმედება	მოქმედებების წესი და თანმიმდევრობა	შემსრულებელი
1	შეტყობინება ხანძრის შესახებ	- ხანძრის აღმოჩენის შემთხვევაში სახანძრო-სამაშველო სამსახურის გამოძახება ტელეფონით "112", კოლეჯის ადმინისტრაციის, დაცვის სამსახურის ინფორმირება, განგაშის ღილაკი	თანამშრომელი, რომელმაც პირველმა აღმოაჩინა ხანძარი
2	მაუწყებლობა ხანძრის შესახებ	- ხანძრის შესახებ ინფორმაციის მიწოდება კოლეჯში მყოფი ადამიანებისათვის - ძირითადი და სათადარიგო გასასვლელების, გაღება	სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი
3	ადამიანთა ევაკუაცია კოლეჯიდან	- ხანძრის შესახებ შეტყობინების მიღების შემდეგ ადამიანების ორგანიზებული გაყვანა დერეფნების, კიბის უჯრედებისა და გასასვლელების გავლით	სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი
4	ევაკუირებული	- ადამიანთა თავმოყრა სპეციალურად	სახანძრო

	ადამიანების ფაქტიური რაოდენობის შედარება სიით არსებულ რაოდენობასთან	გათვალისწინებულ ადგილზე - ყველა ევაკუირებულის აღრიცხვა და შედარება სიით არსებულ რაოდენობასთან - თავმოყრის ადგილზე ადამიანთა სრული შემადგენლობის არყოფნის შემთხვევაში ხანძრის ჩაქრობის ხელმძღვანელისათვის ინფორმაციის დაუყოვნებელი მიწოდება	უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი
5	გაჩენილი ხანძრის ჩაქრობა სახანძრო-სამაშველო დანაყოფის მისვლამდე	- ხანძრის ჩაქრობის ორგანიზება მისი აღმოჩენის მომენტიდან, ცეცხლმაქრების, გამოყენებით - მატერიალური ფასეულობების ევაკუაცია	თანამშრომლები, რომლებიც არ მონაწილეობენ ევაკუაციაში, სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირები
6	მოსული სახანძრო-სამაშველო დანაყოფის დახვედრა	სახანძრო-სამაშველო სამსახურების დახვედრა - ხანძრის ჩაქრობის ხელმძღვანელისათვის შექმნილი ვითარების შესახებ ინფორმაციის შეტყობინება - სად და რა იწვის, ემუქრება თუ არა ადამიანებს საფრთხე, ტერიტორიაზე წყლის წყაროების არსებობა, სართულების ევაკუაციის გეგმების გადაცემა	ადმინისტრაცია, ევაკუაციის ორგანიზატორი ჯგუფი

მუხლი 11. შრომის უსაფრთხოების დაცვის ორგანიზება

პერსონალის შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის, ასევე სტუდენტებისათვის უსაფრთხო სასწავლო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით კოლეჯს ყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი შეიმუშავებს კოლეჯის შრომის უსაფრთხოების პოლიტიკას. უბედური შემთხვევების პრევენციის მიზნით შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი სისტმატიურად ატარებს შემდეგ ღონისძიებებს:

- ✓ კოლეჯის პერსონალისათვის ატარებს უსაფრთხოების სწავლებას საგანგებო სიტუაციების დროს კოორდინირებული ქმედებების ორგანიზებისათვის, ასწავლის ცეცხლმაქრის გამოყენების წესებს, ევაკუაციის წესებს, ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებებს;
- ✓ კოლეჯის სტუდენტებისათვის ატარებს უსაფრთხოების სწავლებას საგანგებო სიტუაციების დროს კოორდინირებული ქმედებების ორგანიზებისათვის, ასწავლის ცეცხლმაქრის გამოყენების წესებს, ევაკუაციის წესებს, ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებებს;
- ✓ ახდენს ცრუ განგაშის მოდელირებას;
- ✓ უზრუნველყოფს სამუშაო სივრცეში უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებების შემთხვევების რეგისტრაციას, მოკვლევას და ანგარიშგებას;
- ✓ რეგულარულად უზრუნველყოფს ტექნიკური აღჭურვილობის უსაფრთხოების მდგომარეობის შემოწმებას, დაცვის საშუალებების მოვლას, მათ სწორად გამოყენებაზე კონტროლს;

მუხლი 12. პერსონალური მონაცემების დაცვა

1. კოლეჯი უზრუნველყოფს პერსონალის და პროფესიული სტუდენტის/მსმენელის პერსონალური ინფორმაციის დაცვლობას.
2. დაუშვებელია პერსონალური ინფორმაციის გამოყენება კოლეჯის საქმიანობისათვის პირის წერილობითი ნებართვის გარეშე.
3. პერსონალური მონაცემების დაცვაზე პასუხისმგებელი პირია შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.

მუხლი 13. დასკვნითი დებულებები

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგი ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ პოლიტიკის განხორციელებასა და უსაფრთხოების მიზნების მისაღწევაზე.

კოლეჯის ხელმძღვანელობა პერსონალისგან მოითხოვს:

- დადგენილი უსაფრთხოების ნორმების დაცვას;
- ქმედებებისა და ზრუნვის მაღალ ხარისხს, საკუთარი და გარშემომყოფთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით.

მუხლი 14. მოქმედების ვადა

დებულება ძალაშია დირექტორის მიერ ხელმოწერიდან ახალი დებულების დამტკიცებამდე;